

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №1

სტუ-ის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 19 დეკემბერს №75 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და სტუ-ის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.

სტუ-ის 2017 წლის ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 53 910 914 ლარით, რომელიც 2016 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია 428 416 ლარით, სამეცნიერო კვლევითი გრანტების მოცულობა შეადგენს 1 447 514 ლარს, კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები (იჯარა, დეპოზიტი, შემოსულობა სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან) – 3 092 917 ლარს.

2017 წლის ასიგნებები შესაბამისად განისაზღვრა 53 910 914 ლარით, სადაც შრომის ანაზღაურების (30 684 998 ლარი) წილი ასიგნებების მიმართ შეადგენს 56,9 %-ს; საქონელი და მომსახურების (17 909 268 ლარი) წილი – 33,2 %-ს; სოციალური უზრუნველყოფა (459 000 ლარი) – 0,8%-ს; სხვა ხარჯები (2 608 034 ლარი) – 4,8%-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა (2 223 614 ლარი) – 4,1%-ს. ამასთან, ადმინისტრირების ასიგნებების (6 989 525 ლარი) წილი მთლიანი ასიგნების მიმართ შეადგენს 12,9%-ს, ხოლო ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (3 505 150 ლარი) საერთო შრომის ანაზღაურების მიმართ – 11,4 %-ს.

საფაკულტეტო ბიუჯეტები დაგეგმილია ნორმატიულ ბაზაზე დადგენილი შემოსავლებიდან გასანაწილებელი თანხის პროცენტისა და ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად,

საიდანაც ფაკულტეტების შემოსავლები ნაწილდება, როგორც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისათვის, ასევე, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის, რაც ასახვას პოვებს ფაკულტეტების საბოლოო შემოსავლისა და ასიგნებების მაჩვენებლებზე:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ასიგნებები თავისი შემოსავლის მიმართ შეადგენს 79%-ს;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ასიგნებები – 81%-ს;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასიგნებები – 93%-ს;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასიგნებები – 95%-ს;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ასიგნებები – 83%-ს;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასიგნებები – 86%-ს;
7. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასიგნებები – 76%-ს;
8. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასიგნებები – 84%-ს;
9. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასიგნებები – 77%-ს;
10. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასიგნებები – 94 %-ს;
11. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასიგნებები – 76%-ს;
12. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ფაკულტეტი დეფიციტურია და ასიგნებები დაგეგმილია ფაკულტეტის შემოსავლისა და გადასაცემი ტრანსფერის – 248 740 ლარის ჩათვლით.

წარმომადგენლობითი საბჭო დადებითად თვლის იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 428 416 ლარით. საბიუჯეტო ხარჯები ძირითადად მიმართულია პროფესორ-მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. მასში ასახულია შრომის ანაზღაურების ბონუსურ სისტემაზე გადასვლისათვის აუცილებელი საბიუჯეტო ასიგნებები.

წარმომადგენლობით საბჭოს მიაჩნია, რომ მიუხედავად გარკვეული დადებითი მომენტებისა დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი ხასიათდება ნაკლოვანებებით. იგი სრულყოფილად ვერ პასუხობს პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნებს. ბიუჯეტის კლასიფიკატორის მიხედვით გაწერილი ხარჯვითი ნაწილის აგრეგირებული მაჩვენებლები არ არის უზრუნველყოფილი დეტალურად მიზნობრივი პროგრამებით. სახელფასო ფონდი არ არის უზრუნველყოფილი მიზნობრივი პროგრამით. დღემდე წარმომადგენლობით

საბჭოზე დასამტკიცებლად არ არის შემოტანილი პროფესორ-მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი. დასაბუთების გარეშეა წარმოდგენილი შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება. ამ მხრივ დღემდე არ არის შესრულებული წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №1 დამხმარე პერსონალის ოპტიმალური საშტატო განრიგის და ღია კონკურსის წესით სამუშაოზე მიღების წესის შემუშავების და წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოდგენის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

დამტკიცდეს სტუ-ის 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №1).

I. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 53 910 914 ლარით, მათ შორის:

1. ნაშთი წლის ეკონომიკური საქმიანობიდან განისაზღვროს – 174 205 ლარით და რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან – 20 000 ლარით;
2. ფასიანი სწავლებიდან შემოსავალი – 49 348 983 ლარით;
3. სამეცნიერო გრანტები – 1 447 514 ლარით;
4. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტების და ახალგაზრდების წახალისების პროგრამა – 1 500 ლარით;
5. კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები – 3 092 917 ლარით (იჯარა – 692 712 ლარი; დეპოზიტები – 250 000 ლარი; სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი – 2 150 205 ლარი).

II. გადასახდელები შესაბამისად განისაზღვროს 53 910 914 ლარით, მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 30 684 998 ლარით;
2. საქონელი და მომსახურება – 17 909 268 ლარით;
3. გრანტები – 26 000 ლარით;
4. სოციალური უზრუნველყოფა – 459 000 ლარით;
5. სხვა ხარჯები – 2 608 034 ლარით;
6. არაფინანსური აქტივების ზრდა – 2 223 614 ლარით.

III. დამტკიცდეს სტუ-ის 2017 წლის ბიუჯეტის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ასიგნებები 6 989 525 ლარით (დანართი №2), მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 3 505 150 ლარით;
2. საქონელი და მომსახურება – 3 246 800 ლარით;
3. გრანტები – 26 000 ლარით;
4. სოციალური უზრუნველყოფა – 50 000 ლარით;

5. სხვა ხარჯები – 161 575 ლარით.

IV. დამტკიცდეს სტუ-ის ფაკულტეტების 2017 წლის ბიუჯეტები (დანართი №4), მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 5 684 236 ლარით; ასიგნებები – 4 550 551 ლარით;
 2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 6 410 100 ლარით; ასიგნებები – 5 189 943 ლარით;
 3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 619 432 ლარით; ასიგნებები – 2 664 376 ლარით;
 4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 125 188 ლარით; ასიგნებები – 3 236 430 ლარით;
 5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 977 480 ლარით; ასიგნებები – 4 161 381 ლარით;
 6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 192 632 ლარით; ასიგნებები – 1 885 107 ლარით;
 7. ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 441 700 ლარით; ასიგნებები – 3 369 240 ლარით;
 8. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 569 625 ლარით; ასიგნებები – 3 000 285 ლარით;
 9. სამარლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 218 950 ლარით; ასიგნებები – 3 232 478 ლარით;
 10. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 8 588 975 ლარით; ასიგნებები – 8 081 503 ლარით;
 11. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 324 665 ლარით; ასიგნებები – 2 543 424 ლარით;
 12. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 196 000 ლარით; ასიგნებები – 444 740 ლარით;
- სულ ფაკულტეტების საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 49 348 983 ლარით, ასიგნებები – 42 359 458- ლარით.

V. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განახორციელოს ცვლილებები მთლიანი ასიგნების 7 %-ის ფარგლებში;

VI. სტუ-ის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 100% დარჩეს მათ განკარგულებაში;

VII. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი) უზრუნველყოს:

1. ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის განუხრელი შესრულება;
2. ფაკულტეტის დეკანებთან ერთად ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი და დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს 2017 წლის თებერვალში;
3. დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების შესრულების პროცესში მიღებული ეკონომია, წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მიმართოს თანამშრომელთა პრემიისა და დანამატის ფონდში;
4. დაევალოს აუდიტის სამსახურს ჩაატაროს შემოწმება შესყიდვებთან დაკავშირებული ტენდერების კანონიერების, დროულობისა და ეფექტიანობის მიზნით და შედეგები წარმოადგინოს ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან ერთად 2017 წლის მარტში წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე განსახილველად;
6. დაისვას საკითხი სტუ-ის რექტორის წინაშე (აკად. ა. ფრანგიშვილი) მკაცრად მოსთხოვოს შესაბამის სამსახურებს დამხმარე პერსონალის ოპტიმალური საშტატო განრიგის შემუშავება და წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოდგენა.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოს/გასაწევი მომსახურების (უნივერსიტეტის თვითდაფინანსების ცენტრების) საზღაურის განსაზღვრის წესის პროექტის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოს/გასაწევი მომსახურების (უნივერსიტეტის თვითდაფინანსების ცენტრების) საზღაურის განსაზღვრის წესი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ადმინისტრაციის, საფაკულტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ადმინისტრაციის, საფაკულტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმებული №217754 ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე (ხელმძღვანელი ოლღა სესკურია), სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა I ტრანშით გათვალისწინებული მოცულობა 33 800 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილში სამეცნიერო გრანტების გრაფაში აისახოს 33 800 ლარი; ხოლო ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს პროგრამულად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმებული №217164 ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე (ხელმძღვანელი თამაზ ეთერაშვილი), სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა I ტრანშით გათვალისწინებული მოცულობა 35 000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილში სამეცნიერო გრანტების გრაფაში აისახოს 35 000 ლარი; ხოლო ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს პროგრამულად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

3. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმებული №217064 ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე (ხელმძღვანელი გურამ ადამაშვილი), სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა I ტრანშით გათვალისწინებული მოცულობა 35 000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის

9. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმებული #DP2016-26 ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე (ხელმძღვანელი მერაბ ლორთქიფანიძე), სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა I ტრანშით გათვალისწინებული მოცულობა 21 200 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილში სამეცნიერო გრანტების გრაფაში აისახოს 21 200 ლარი; ხოლო ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს პროგრამულად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

10. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი №516911 – TEMPUS-1-2011-1-DE-TEMPUS-JPCR (ხელმძღვანელი გია არაბიძე). სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა თანხა 19 485 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილში ევრო გრანტების გრაფაში აისახოს 19 485 ლარი; ხოლო ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს პროგრამულად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

11. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი №544178 – TEMPUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR (ხელმძღვანელი ნინო ჩაჩავა) – სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა თანხა 6 330 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილში ევრო გრანტების გრაფაში აისახოს 6 330 ლარი; ხოლო ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს პროგრამულად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

12. წარმოგიდგინთ სტუ-ის ფაკულტეტების ხარჯთაღრიცხვებსა და ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, კერძოდ:

12.1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის, არასაცხოვრებელი შენობების პუნქტიდან 59 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტში, ხოლო 4 810 ლარი – ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯების პუნქტში;

12.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლიდან 70 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის პუნქტში; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯების მუხლში – 2 000 ლარი; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში – 6 000 ლარი; ასევე, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის მუხლიდან - 10 000 ლარი გადატანილ იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში;

12.3. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთ ბიუჯეტის თანამდებობრივი სარგოს პუნქტიდან – 78 739 ლარი; დანამატის პუნქტიდან – 10 505 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა/დანადგარების მოვლა/შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლიდან – 16 930 ლარი; ინტერნეტის ხარჯის პუნქტიდან – 4 200 ლარი; მოგების გადასახადის პუნქტიდან – 15 452 ლარი; მიწის გადასახადის პუნქტიდან – 3 247 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტიდან – 4 620 ლარი; სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 36 283 ლარი; ფასეულობების მუხლიდან – 1 800 ლარი; სულ ჯამში 171 776 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის პუნქტში.

ასევე, ქონების გადასახადის პუნქტიდან 6 897 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის პუნქტში; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტში – 600 ლარი; მოსაკრებლების პუნქტში – 533 ლარი; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები – 1 452 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლიდან – 2 800 ლარი გადატანილ იქნეს დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლში და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში – 777 ლარი. ასევე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტიდან – 1 500 ლარი გადატანილ იქნეს სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში;

12.4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის დანამატის პუნქტიდან – 40 300 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯის მუხლიდან – 210 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯების მუხლიდან – 5 845 ლარი; ინტერნეტის ხარჯის პუნქტიდან – 3 600 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში პუნქტიდან - 120 ლარი; დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლიდან – 2 015 ლარი; ქონების გადასახადის პუნქტიდან – 16 212 ლარი; მოგების გადასახადის პუნქტიდან – 26 413 ლარი; ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდა: არასაცხოვრებელი შენობების პუნქტიდან – 7 000 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობის შეძენის პუნქტიდან – 21 363; ელექტრომოწყობილობები; რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურა; ოპტიკური ხელსაწყოები, ავეჯის პუნქტიდან – 29 825 ლარი; სხვა მანქანა/დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტიდან – 63 297

ლარი; ლიცენზიები და კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის პუნქტიდან – 1 000 ლარი; ფასეულობების მუხლიდან – 1 800 ლარი; სულ ჯამში – 219 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის პუნქტში.

ასევე, მივლინებების მუხლიდან – 8 684 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის პუნქტიდან – 4 959 ლარი; მიღებების და ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან – 2 768 ლარი; სამედიცინო მასალების, ინსტრუმენტების შეძენის ხარჯების პუნქტიდან – 100 ლარი; სამედიცინო დეზინფექცია/დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯების პუნქტიდან – 1 000 ლარი; საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯის პუნქტიდან – 219 ლარი; მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა/შენახვის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯის პუნქტიდან – 1 070 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის პუნქტიდან – 200 ლარი; ექსპერტიზისა და შემოწმებების ხარჯის პუნქტიდან – 200 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის პუნქტიდან – 3 000 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან – 3 800 ლარი; ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯების პუნქტიდან – 4 000 ლარი; სულ ჯამში – 30 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

ასევე, რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევისა და ფარდა/ჟალუზების შეძენის ხარჯების პუნქტიდან – 203 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა/გადაყვანის) ხარჯის პუნქტიდან – 800 ლარი; დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების პუნქტიდან – 6 997 ლარი; სულ ჯამში – 8 000 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის პუნქტში.

ასევე, რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევისა და ფარდა/ჟალუზების შეძენის ხარჯების პუნქტიდან – 1 149 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების პუნქტში;

12.5. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთ ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატის პუნქტიდან – 30 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის პუნქტში. ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან – 1 500 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერჯის ხარჯის პუნქტში; წყლის ხარჯის პუნქტში – 9 165 ლარი; ბუნებრივი და თხევადი აირის პუნქტში – 3 000 ლარი. ასევე, წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან – 2 100 ლარი გადატანილ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლში; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლოსაგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან – 2 000 ლარი, გადატანილ

იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში;

12.6. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების რემონტის ხარჯის მუხლიდან – 125 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; წყლის ხარჯის პუნქტი – 4 408 ლარი; სხვა მანქანა/დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული ხარჯების მუხლში – 7 099 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის ხარჯების მუხლში – 1 745 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში – 356 ლარი; თანამდებობრივი სარგოს მუხლში – 616 ლარი; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში – 143 ლარი.

ასევე, რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯებიდან – 1 250 ლარი გადატანილ იქნეს უნიფორმის შეძენის ხარჯებში; ასევე, საკანცელარიო ხარჯებიდან – 1 592 ლარი; მივლინების მუხლიდან – 1 500 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო ლიტერატურის, საგამომცემლო/-სასტამბო ხარჯების მუხლიდან – 2 262 ლარი; ინტერნეტის ხარჯიდან – 1 000 ლარი; სულ ჯამში – 6 354 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში.

ასევე, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან – 19 200 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში – 5 409 ლარი. ასევე, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯების მუხლიდან – 1 352 ლარი; სამედიცინო ხარჯების მუხლიდან – 500 ლარი; მოსაკრებელის მუხლიდან – 2 986 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მუხლიდან – 1 000 ლარი; ორდენების, სიგელების, სუვენირების მუხლიდან – 210 ლარი; სულ ჯამში – 6 048 ლარი გადატანილ იქნეს სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში.

ასევე, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლიდან – 120 ლარი; ძირითადი აქტივების არასაცხოვრებელი შენობების მუხლიდან – 23 000 ლარი; ფასეულობების მუხლიდან – 1 800 ლარი; არაწარმოებული არამატერიალური აქტივების მუხლიდან – 500 ლარი; პრემიის მუხლიდან – 7 730 ლარი; სულ ჯამში – 33 150 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში;

12.7. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მცირდება 17 875 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდენტთა კონტიგენტის შემცირებით და განისაზღვრება 290 455 ლარით; შესაბამისად მცირდება ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ: თანამდებობრივი სარგოს მუხლი შემცირდეს 15 000 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი – 2 875 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 900 ლარი გადატანილ იქნეს ინტერნეტის ხარჯის პუნქტში; ელექტოენერჯის ხარჯის პუნქტში – 5 500 ლარი; წყლის ხარჯის პუნქტში – 440 ლარი; ბუნებრივი და თხევადი აირის პუნქტში – 1 200 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯების მიღებებისა და ღონიძიებების ხარჯების პუნქტში – 1 150 ლარი. ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის, სხვა მანქანა/დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტში – 2 000 ლარი;

12.8. აგრარულ მეცნირებათა ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება/დემონტაჟის ხარჯის მუხლიდან 9 800 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

13. ასევე, წარმოგიდგენთ სტუ-ის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის, ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის პუნქტიდან 38 810 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტში. ასევე, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება/დემონტაჟის ხარჯის პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის პუნქტში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. მამუკა მაცაბერიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ისა და კახეთის რეგიონის მეღვინეობის საწარმო „შატო ზეგანს“ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №2246.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: შეიქმნას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კახეთის რეგიონის მეღვინეობის საწარმო „შატო ზეგანს“ შორის თანამშრომლობის საფუძველზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ერთობლივი თანადაფუძნების პრინციპით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№19 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. ირაკლი გუჯაბიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან თვითდაფინანსებითი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრ „სამთო-გეოლოგ პროექტის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №2248.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრი „სამთო-გეოლოგ პროექტი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№19 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. გუგული ყურაშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №2250.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორ შოთა მინჯორაიას სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. დავით ნოზაძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №2251.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ ომარ მიქაძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№19 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №2252.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ დემურ დანელიას სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №2253.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ ანზორ ხაბეიშვილს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. ირინა გოცირიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №2254.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ გივი მჭედლიძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60% -ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№19 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან შემოერთებული ინსტიტუტების, სტუ-ის ადმინისტრაციის ქვეგანყოფილებების: სამშენებლო ფაკულტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის; ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოწერის მიზნით შექმნილ საინვენტარიზაციო კომისიას, კანონით დადგენილი წესით, ჩამოწეროს ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებითა და საბიუჯეტო სახსრებით შექმნილი ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი ინვენტარი, რომლებიც ინვენტარიზაციის შედეგად დადგენილია, როგორც ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი, ამორტიზებული და ხმარებისათვის გამოუყენებელი ძირითადი აქტივები, კერძოდ:

1. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი 2 ერთეული, 1444,49 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შექმნილი (იხ. დანართი 1);
2. ტექნიკური ინსტიტუტი 12 ერთეული, 8010,81 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შექმნილი (იხ. დანართი 2);
3. კვების მრეწველობის ინსტიტუტი 31 ერთეული, 2688,52 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შექმნილი (იხ. დანართი 3);

4. კვების მრეწველობის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის თეორიწყაროს ექსპერიმენტალური ქარხანა 72 ერთეული, 53758,72 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შეძენილი (იხ. დანართი 4);
5. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი 6 ერთეული, 4982,98 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 5);
6. ბიოტექნოლოგიის ცენტრი 1 ერთეული, 14608,20 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 6);
7. ტყიბულის სამთო – ტექნოლოგიური ინსტიტუტი 10 ერთეული, 24990,15 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 7);
8. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი 23 ერთეული, 23601 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 8);
9. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი 2 ერთეული, 4195,64 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 9);
10. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი 12 ერთეული, 2797,00 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 10);
11. სტუ-ის ადმინისტრაციის ქვეგანყოფილებები 2346 ერთეული, 941005,50 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შეძენილი (იხ. დანართი 11); 2887 ერთეული, 604465,78 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 12);
12. სამთო – გეოლოგიური ფაკულტეტი 117 ერთეული, 74847,66 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შეძენილი (იხ. დანართი 13); 288 ერთეული, 53306,70 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 14);
13. არქიტექტურა, ურბანიზაცია და დიზაინის ფაკულტეტი 36 ერთეული, 13225,68 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შეძენილი (იხ. დანართი 15); 12 ერთეული, 2110,01 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 16);

14. ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი 39 ერთეული, 20001,21 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შეძენილი (იხ. დანართი 17); 67 ერთეული, 5008,30 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 18);
15. სამშენებლო ფაკულტეტი 210 ერთეული, 54835,90 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შეძენილი (იხ. დანართი 19); 167 ერთეული, 49432,73 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 20);
16. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 53 ერთეული, 25636,22 ლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებით შეძენილი (იხ. დანართი 21); 49 ერთეული, 41433,79 ლარის ღირებულების საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი (იხ. დანართი 22).

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის

d a d g e n i l e b a №12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, იჯარით გასცეს გურამიშვილის გამზირის №17-ში მდებარე აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შენობის ეზოში 10 კვ.მ ფართობი მოძრავი კვების ობიექტის განთავსების მიზნით, 5 წლის ვადით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№19 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე